

საკანონმდებლო მაცნა

დღგ-ისგან გათავისუფლება
გვერდი 1

**საკანონმდებლო
სანქცია**
გვერდი 2

**გარდამავალი და
დასკვნითი დებულებები**
გვერდი 3

ცვლილება კანონში

საქართველოს პრეზიდენტის 2018 წლის 30 ნოემბრის N3778-ის და 27 დეკემბრის N4225-ის კანონების თანახმად ცვლილება შევიდა საქართველოს საგადასახადო კოდექსში.

დღგ-ისგან გათავისუფლება

168-ე მუხელში შესული ცვლილების თანახმად ჩათვლის უფლებით დღგ-გან გათავისუფლებულთა რიცხვს დაემატა საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 8702 90 90 კოდში შემავალი ელექტროძრავიანი ავტობუსის (მათ შორის, ელექტროძრავიანი მიკროავტობუსის) მიწოდება ან/და იმპორტი.

ცვლილება ძალაშია 2018 წლის 12 დეკემბრიდან.

ტერიტორია განმარტება

ცვლილებით გაუქმდა ტერიტორია - „ღომბარდი“ და მის ნაცვლად განისაზღვრა ახალი ტერიტორია - „სესხის გამცემი სუბიექტი“, რომელიც შემდეგნაირად განიშარტა: სესხის გამცემი სუბიექტი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

ცვლილება ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან.

სარეზერვო ფონდებში გადარიცხვების გამოქვითვა

სარეზერვო ფონდებში გადარიცხვების გამოქვითვის მუხლს დაემატა ნაწილი, რომელიც ეხება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამოქვითვას. ამ ნაწილის მიხედვით მიკროსაფინანსო ორგანიზაცია სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვების გამოქვითვას განახორციელებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების აქტივების კლასიფიკაციისა და შესაძლო დანაკარგების რეზერვების ფორმირების შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესით.

ცვლილება ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან.

შინაარსი

- ▶ დღგ-ისგან გათავისუფლება
- ▶ ტერიტორია განმარტება
- ▶ სარეზერვო ფონდებში გადარიცხვების გამოქვითვა
- ▶ აქტივის განაკვეთები
- ▶ საგადასახადო სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა
- ▶ საგადასახადო სანქცია
- ▶ საურავი
- ▶ საგადასახადო დეკლარაციის გაანგარიშების წარდგენის ვადის დარღვევა
- ▶ საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირება
- ▶ გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

აქციზის განაკვეთები

ცვლილება შევიდა აგრეთვე აქციზის განაკვეთების ნაწილში. გაიზარდა აქციზის განაკვეთი უფილტრო სიგარეტებისთვის 0,6-დან 1,7 ლარამდე 20 ლერზე.

აგრეთვე, აქციზის თანხის გაანგარიშების მიზნით ფილტრიანი სიგარეტისთვის 20 ლერზე განაკვეთი გაიანგარიშება აქციზის განაკვეთის და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 30 პროცენტის დაჯამებით. 2403 99 900 01 კოდში მითითებული საქონლისთვის (კაფსულები და მსგავსი სახის პროდუქტები, თამბაქოს შემცველობით) 20 ცადზე, აგრეთვე საგარეო-ეკონომიკური საქმიანობის ეროვნული სასაქონლო ნომენკლატურის 2403 99 900 02 კოდში მითითებული საქონლისთვის (თამბაქოს ნაწარმი, წვის პროცესის გარეშე, ორთქლის მისაღებად გამოსაყენებელი) 20 ლერზე აქციზის თანხა გაიანგარიშება შესაბამისი აქციზის განაკვეთისა და ამ საქონლის საცალო სარეალიზაციო ფასის 30 პროცენტის დაჯამებით.

ცვლილებამდე ჯამში მონაწილეობდა სარეალიზაციო ფასის 10 პროცენტი.

ცვლილება ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო სამართალდარღვევა და პასუხისმგებლობა

ცვლილებით საგადასახადო სამართალდარღვევისა და პასუხისმგებლობის მუხდს დაემატა მე-11 ნაწილი, რომლის მიხედვითაც იმ შემთხვევაში,

თუ პირი საგადასახადო მოთხოვნის ჩაბარებიდან 30 დღის ვადაში საგადასახადო შემოწმების შედეგად წარმოშობილ საგადასახადო დავალიანებას აღიარებს და გადაიხდის სრულად და აგრეთვე გადაიხდის შემოწმების შედეგად დარიცხული ჯარიმის 50 პროცენტს, მაშინ დარიცხული ჯარიმების თანხების დარჩენილი 50 პროცენტი გაუქმდება.

ცვლილება ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო სანქცია

სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირების, მყიდველის მოთხოვნისას სასაქონლო ზედნადების გაუცემლობის ან საქონლის შეძენისას სასაქონლო ზედნადების მიღებაზე უარის თქმის შემთხვევაში, თუ სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებული ან მიწოდებული/მისაწოდებელი საქონლის საბაზრო ღირებულება არ აღემატება 10 000 ლარს, შესაძლებელია ფუიდადი ჯარიმის ნაცვლად გამოყენებული იყოს გაფრთხილება, გარდა იმ შემთხვევისა, როცა სამართალდარღვევა ჩადენილია განმეორებით.

ცვლილება ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან.

საურავი

ცვლილება შევიდა საურავის ნაწილში და განისაზღვრა, რომ საურავის დარიცხვა წყდება მისი დარიცხვის ვადებულების წარმოშობის დღიდან 3 წლის გასვლის თარიღიდან.

ცვლილება ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო დეკლარაციის გაანგარიშების წარდგენის ვადის დარღვევა

ცვლილებამდე არსებული რედაქციით პირის მიერ საგადასახადო ორგანოში საგადასახადო დეკლარაციის/ გაანგარიშების წარდგენისათვის საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით დადგენილი ვადის დარღვევა იწვევდა პირის დაჯარიმებას ამ დეკლარაციის/ გაანგარიშების საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხის 5 პროცენტის ოდენობით ყოველ დაგვიანებულ სრულ/ არასრულ თვეზე. ამასთან, მთელ დაგვიანებულ პერიოდზე გამომანგარიშებული სანქციის ჯამური თანხა არ უნდა ყოფილიყო 50 ლარზე ნაკლები და გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხის 30 პროცენტზე მეტი.

ცვლილების შედეგად შეიცვალა ჯარიმის ოდენობა და გაანგარიშების წესი შემდეგნაირად: თუ ვადის გადაცილების პერიოდი 2 თვეს არ აღემატება, პირი დაჯარიმდება დაგვიანებით წარდგენილი დეკლარაციის/გაანგარიშების საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხის 5 პროცენტის ოდენობით. თუ ვადის გადაცილების პერიოდი 2 თვეს აღემატება, პირი დაჯარიმდება დაგვიანებით წარდგენილი დეკლარაციის/ გაანგარიშების საფუძველზე გადასახდელად დასარიცხი გადასახადის თანხის 10 პროცენტის ოდენობით.

ცვლილება ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან.

საგადასახადო დეკლარაციაში/ გაანგარიშებაში გადასახადის შემცირება

ცვლილება შევიდა ასევე საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირების მუხლში და აქაც შეიცვალა ჯარიმის ოდენობა. ამ შემთხვევაში, ჯარიმა რომელიც პირს ეკისრება საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირებისთვის და რომელიც არ არის გამონკვეთი პერიოდის ცვლილებით, გაიყო სამ ნაწილად. კერძოდ:

▶ საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირება, თუ შემცირებული გადასახადის თანხა ამ დეკლარაციაში/გაანგარიშებაში აღნიშნული გადასახადის თანხის 5 პროცენტს არ აღემატება, იწვევს დაჯარიმებას შემცირებული გადასახადის თანხის 10 პროცენტის ოდენობით.

▶ საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირება, თუ შემცირებული გადასახადის თანხა ამ დეკლარაციაში/გაანგარიშებაში აღნიშნული გადასახადის თანხის 5 პროცენტზე მეტია და 20 პროცენტს არ აღემატება, იწვევს დაჯარიმებას შემცირებული გადასახადის თანხის 25 პროცენტის ოდენობით.

▶ საგადასახადო დეკლარაციაში/გაანგარიშებაში გადასახადის შემცირება, თუ შემცირებული გადასახადის თანხა ამ დეკლარაციაში/გაანგარიშებაში აღნიშნული გადასახადის თანხის 20 პროცენტზე მეტია, იწვევს დაჯარიმებას შემცირებული გადასახადის თანხის 50 პროცენტის ოდენობით.

ცვლილების შესაბამისად ამავე მუხლში ასევე განისაზღვრა,

რომ საგადასახადო შემოწმების შედეგად ამ მუხლის შესაბამისად შეფარდებული ჯარიმების ჯამური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს ამ საგადასახადო შემოწმების შედეგად გადასახედელად დარიცხული გადასახადების თანხების ოდენობას.

ცვლილება ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან.

გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

▶ ცვლილება შევიდა გარდამავალი დებულებების მუხლში, კერძოდ: ცვლილებამდე არსებული რედაქციით, 79-ე ნაწილის თანახმად, 2015 წლის 1 იანვრიდან 2020 წლის 1 იანვრამდე უძრავი ქონების მიწოდება და მასთან დაკავშირებული სამშენებლო-სამონტაჟო მომსახურების განწევა გათავისუფლებული იყო ელგ-ისგან ჩათვლის უფლებით, თუ მიწოდებული უძრავი ქონება განთავსებული იყო ისეთ ობიექტში, რომლის სამშენებლო ნებართვა ძალაში იყო 2008 წლის 8 აგვისტოსთვის ან საპროექტო დოკუმენტაცია ამ თარიღისთვის შეთანხმებული იყო უფლებამოსილ ორგანოსთან და შემდგომ გაიცა მშენებლობის ნებართვა. ამასთან, ამ ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემული უნდა ყოფილიყო 2020 წლის 1 იანვრამდე.

ცვლილების შედეგად მოცემული შეღავათით სარგებლობის ვადა 2020 წლის 1 იანვრიდან გაიზარდა 2023 წლის 1 იანვრამდე, ობიექტის ექსპლუატაციაში შესვლის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი

აქტის უფლებამოსილი ორგანოს მიერ გამოცემის ვადა ასევე განისაზღვრა 2023 წლის 1 იანვრამდე.

▶ ცვლილება განხორციელდა აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით სსკ-ის 309-ე მუხლის 81² პუნქტში, რომლის მიხედვითაც, უძრავი ქონების 2015 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე შეღავათით მიწოდების ოპერაციაზე დაწესდა ხანდაზმულობის შემდეგი ვადები: ა) 2015 წლის 1 იანვრიდან 2016 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში განხორციელებული გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციის მიმართ - 8 წელი; ბ) 2016 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში განხორციელებული გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციის მიმართ - 7 წელი; გ) 2017 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში განხორციელებული გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციის მიმართ - 4 წელი; დ) 2018 წლის 1 იანვრიდან 2019 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდში განხორციელებული გათავისუფლებული დასაბეგრი ოპერაციის მიმართ - 3 წელი.

ცვლილებამდე არსებული რედაქციით, ხანდაზმულობის განსხვავებული ვადები დადგენილი იყო უძრავი ქონების 01.01.2015-01.01.2016 და 10.10.2016-01.01.2017 პერიოდში მიწოდების შემთხვევაში, შესაბამისად 5 და 4 წელი. ხოლო 2017 დან 2019 წლის ჩათვლით პერიოდზე ხანდაზმულობის ვადები არ იყო დაწესებული.

▶ 87-ე ნაწილში განხორციელებული ცვლილების შედეგად, საშემოსავლო გადასახადით დაბეგვისგან გათავისუფლდა ფიზიკური პირის მიერ მიღებული სარგებელი, რომელიც წარმოიშვა კომერციული ბანკის ან მიკროსაფინანსო

ორგანიზაციის მიერ სასესიო ვადებუდებების 2019 წლის 1 იანვრამდე პატიების შედეგად და მისი 2014 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წესის მიხედვით უიმედო ვადად კვალიფიცირება აღარ არის საჭირო.

ცვლილებით სსკ-ის 309-ე მუხლის 88¹-ე ნაწილის მიხედვით, კომერციული ბანკი ან მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია ფიზიკური პირისთვის ნაპატიები თანხა გამოქვითოს ერთობლივი შემოსავლიდან, გარდა იმ შემთხვევისა, თუ შესაბამისი პერიოდისთვის ერთობლივი შემოსავლიდან გამოქვითულია სესხის შესაძლო დანაკარგების რეზერვი ან შესაბამისი პერიოდისთვის ერთობლივ შემოსავალში შეტანილი არ არის სესხზე დარიცხული პროცენტი ან ჯარიმა.

ცვლილების შედეგად ეს შემლუღვა ვრცელდება არა მარტო კომერციულ ბანკზე, აგრეთვე მიკროსაფინანსო ორგანიზაციაზეც.

ცვლილება ძალაშია 2019 წლის 1 იანვრიდან.

ავტორის სვეტი

პუბლიკაციაში მოცემულია ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მნიშვნელოვანი საკანონმდებლო და საგადასახადო სიახლეები და ცვლილებები, რომელზეც ყურადღება უნდა გაამახვილოს ბიზნესმა. გთხოვთ, მიმართოთ ბიძლოს პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად.

მინიქილ ენუქიძე

MEnukidze@bdo.ge

დავით გელაშვილი

DGelashvili@bdo.ge

▶ ნაიკითხეთ მეტი www.bdo.ge





ეს პუბლიკაცია მომზადებულია კონკრეტულ თემაზე, მაგრამ ზოგადი დებულებების გამოყენებით, ამიტომ განკუთვნილია მხოლოდ ზოგადი სახელმძღვანელოს სახით გამოყენებისთვის. დაუშვებელია კონკრეტული სიტუაციების მოგვარებისათვის ამ პუბლიკაციის გამოყენება, ან მასში მოცემულ ინფორმაციაზე დაყრდნობა პროფესიული კონსულტაციის გარეშე. გთხოვთ, მიმართოთ შპს „ბიდიოს“ პუბლიკაციაში მოცემული საკითხების კონკრეტული სიტუაციებისთვის განსახილველად. შპს „ბიდიო“, მისი პარტნიორები და თანამშრომლები არ იღებენ პასუხისმგებლობას ამ პუბლიკაციაზე დაყრდნობით მიღებული გადაწყვეტილებების შედეგებზე.

შპს ბიდიო არის საქართველოში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც წარმოადგენს გაერთიანებულ სამეფოში რეგისტრირებული გარანტიით შეზღუდული კომპანიის – “ბიდიო ინტერნეშენალ ლიმიტედის” წევრს და შედის ბიდიოს დამოუკიდებელი ფირმების საერთაშორისო ქსელის შემადგენლობაში.

ბიდიო არის საერთო სავაჭრო სახელი ბიდიოს ქსელისა და მისი თითოეული წევრი ფირმისათვის.